

ა(ა)იპ „აუდიტორთა, ბუღალტერთა, ფინანსურ მენეჯერთა და ფედერაციის საერთო კრების მოკლე მიმოხილვა და არჩევნების შედეგები

2021 წლის 19 ივნისს გაიმართა ა(ა)იპ „აუდიტორთა, ბუღალტერთა, ფინანსურ მენეჯერთა და ფედერაციის“ (აბფმფ) საერთო კრება. კრება გაიმართა ონლაინ ფორმატში. კრებას ესწრებოდა 54 დელეგატი. კრება გახსნა გამგეობის თავმჯდომარემ ელგუჯა აფრიდონიძემ. კრებას თავმჯდომარეობდა ელგუჯა აფრიდონიძე.

დელეგატებმა კენჭი უყარეს და დაამტკიცეს საერთო კრების დღის წესრიგი:

1. განვლილი საანგარიშგებო პერიოდის ანგარიშები
 - 1.1. გამგეობის ანგარიში;
 - 1.2. სარევიზიო კომისიის ანგარიში; საქმიანობის შეფასება (დისკუსია).
 - 1.3. ფედერაციის ფინანსური მდგომარეობის ანგარიში.
 2. არჩევნები ფედერაციის მმართველობით ორგანოებში
 - 2.1. გამგეობის თავმჯდომარის და გამგეობის წევრების არჩევნები
 - 2.2. სარევიზიო კომისიის წევრების არჩევნები.
- დისკუსია პროფესიაში აქტუალური საკითხების შესახებ
3. წევრობის შეჩერების (გარიცხვის) შესახებ;
 4. საწევრო გადასახადის ტარიფის გადახედვის შესახებ.

განვლილი საანგარიშგებო პერიოდის ანგარიშები

დღის წესრიგის დამტკიცების შემდეგ, აბფმფ საანგარიშო პერიოდის საქმიანობის შესახებ, ანგარიში წარმოადგინა გამგეობის თავმჯდომარემ ბატონმა ელგუჯა აფრიდონიძემ (**გამგეობის ანგარიში**).

აბფმფ გამგეობის თავმჯდომარის მიერ წარმოდგენილი ანგარიშის ირგვლივ კრების მონაწილეებმა გამოთქვეს მოსაზრებები.

საერთო კრებამ კენჭი უყარა და ერთხმად დადებითად შეაფასა აბფმფ გამგეობის და მთლიანად ფედერაციის მუშაობა.

სარევიზიო კომისიის თავმჯდომარის ქალბატონ მეგი აჯიაშვილის ავადმყოფობის გამო, სარევიზიო კომისიის ანგარიში გადაიღო შემდგომი შეხვედრისათვის (**უახლოესი მომავლისათვის**).

ფედერაციის ფინანსური მდგომარეობის ანგარიში წარმოადგინა ბატონმა ელგუჯა აფრიდონიძემ. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშის ერთხმად დამტკიცების შემდგომ გადაწყდა მისი ფედერაციის საიტზე გამოქვეყნება.

გამგეობის თავმჯდომარის და გამგეობის წევრების არჩევნები.

გაიმართა გამგეობის თავმჯდომარის და გამგეობის წევრების არჩევნები, ხოლო სარევიზიო კომისიის არჩევნები გადაიდო შემდგომი შეხვედრისათვის, ხოლო მანამდე სარევიზიო კომისია მუშაობას გააგრძელებს ძველი შემადგენლობით.

საერთო კრებამ გამგეობის თავმჯდომარედ აირჩია ბატონი ელგუჯა აფრიდონიძე. გამგეობის წევრებად არჩეულნი არიან: იური პაპასქუა, ოთარ ახოზაძე, მეგი აჯიაშვილი, დავით ლომსაძე, ალექსანდრე ოქრომჭედლიშვილი, სულიკო ფუტკარაძე, თეიმურაზ ცერცვაძე, ლევან ჯანგულაშვილი (არჩევნების შედეგები იხილეთ **ხმები**).

დისკუსია პროფესიაში აქტუალური საკითხების შესახებ

გაიმართა დისკუსია პროფესიაში არსებული გამოწვევებისა და მასთან მიმართებით, რომელშიც აქტიურად მონაწილეობდნენ: იური პაპასქუა, ოთარ ახოზაძე, სულიკო ფუტკარაძე, ესმა ფიცხელაური და სხვა.

წევრობის შეჩერების (გარიცხვის) შესახებ

საერთო კრებამ იმსჯელა ფედერაციის იმ წევრების შესახებ, რომლებიც არ იხდიან ფედერაციის საწევრო გადასახადებს, არ გადიან სავალდებულო განგრძობით სწავლებას და არ მონაწილეობენ ფედერაციის საქმიანობაში. გადაწყდა აღნიშნული პირები იქნენ გაფრთხილებული და საწევროების არ გადახდის შემთხვევაში მათ მიმართ გამოყენებული იქნას წესდებით გათვალისწინებული სანქციები.

საწევრო გადასახადის ტარიფის გადახედვის შესახებ

ფედერაციის აღმასრულებელმა დირექტორმა ბატონმა იური პაპასქუამ, ქვეყანაში არსებული ინფლაციური პროცესიდან გამომდინარე, წარმოადგინა მოსაზრება ფედერაციის საწევრო გადასახადის 60 ლარიდან 100 ლარამდე გაზრდის შესახებ. ფედერაციის გამგეობის თავმჯდომარის ელგუჯა აფრიდონიძის და კრების მონაწილეების ნაწილის წინადადებით, ქვეყანაში COVID-19 პანდემიიდან გამომდინარე, გადაწყდა, რომ აღნიშნული საწევრო თანხის გაზრდა ამ ეტაპზე ყოფილიყო ნებაყოფლობითი.

